საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories,
Labour, Health and Social Affairs of Georgia

MOH 9 22 00454543

24/10/2022

"პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის"

ქალბატონ თამარ კაპანაძეს

ქალბატონო თამარ,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 2022 წლის 5 ოქტომბერს შემოსული თქვენი №გ-01/2703-22 05.10.22 განცხადების პასუხად, სადაც მოთხოვნილია ინფორმაცია შშმ პირებისთვის ზოგადი ანესთეზიით სტომატოლოგიური მომსახურების მიღებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე, გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით დამტკიცებულ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამას", მ.წ. 13 ივნისს N313 დადგენილებით განხორციელებული ცვლილებით, დაემატა ახალი კომპონენტი - „სტომატოლოგიური მომსახურება ზოგადი ანესთეზიით" (დანართი N1,12.), რომლის მოსარგებლეები არიან **სამედიცინო დოკუმენტაციით დადასტურებული ქცევითი გამოწვევების და/ან კომუნიკაციის სირთულის მქონე, როგორც შშმპ სტატუსის მქონე, ასევე ამ სტატუსის არმქონე პირები**, რომელთაც ესაჭიროებათ სტომატოლოგიური მომსახურება ზოგადი ანესთეზიით.

პროგრამა ითვალისწინებს, როგორც თერაპიულ, ასევე ქირურგიულ სტაციონარულ სტომატოლოგიურ მომსახურებას ზოგადი ანესთეზიით. მომსახურება ფინანსდება სრულად და არ ითვალისწინებს თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან.

მომსახურების მისაღებად ბენეფიციარმა უნდა მიმართოს პროგრამის ფარგლებში შესაბამისი მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებას.
აქვე გაცნობებთ, რომ მიმწოდებლად დარეგისტრირება შეუძლია ნებისმიერ სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებას, რომელიც აკმაყოფილებს ამ საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გამოთქვამს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და დადგენილ ვადაში და წესით წერილობით დაუდასტურებს განმახორციელებელს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს.

მომსახურების ადმინისტრირების საკითხები რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის N36 დადგენილებით.

პატივისცემით,

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და
საინფორმაციო/საკონსულტაციო მომსახურების
სამმართველოს უფროსი
ანა დარახველიძე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად